ყინულის სასტუმრო

სანამ ტექსტს წაიკითხავ, მოდი ჯერ წარმოიდგინე, როგორი შეიძლება იყოს ყინულის შენობა.

შვედეთში არის ერთი სასტუმრო, რომელსაც ყოველ წელს **ხელახლა** აშენებენ. რატომ? იმიტომ, რომ გაზაფხულზე ის დნება. რაც მისგან რჩება, დიდ მაცივარში ინახავენ. შემოდგომით კი ახალ მასალას უმატებენ. მერე თავიდან იწყებენ საძირკვლის ჩაყრას, კედლების **ამოყვანასა** და გადახურვას. საშენი მასალა მხოლოდ თოვლი და ყინულია. ეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ყინულის სასტუმროა.

ყინულის სასტუმროში ყველაფერი ყინულისაა – კედელი, იატაკი, ჭერი, საწოლი, მაგიდა, სკამი, ჭურჭელი. საჭმელი იქ ყინულის თეფშებით მიაქვთ. სასმელსაც ყინულის ჭიქებით სვამენ. ოთახებში დგას ყინულის ულამაზესი ქანდაკებები და კიდია ყინულის ნახატები. ავეჯსა და კედლებს ყინულის **ორნამენტები** ამშვენებს.

სასტუმროში, რა თქმა უნდა, ძალიან ცივა. სტუმრების მიღების სეზონზე იქ თითქმის სულ -5°C-ია. სასტუმრო 0°C-ზე უკვე დნობას იწყებს.

ჭაღებში, ბრებსა და მაგიდის ლამპებში სპეციალური ნათურები ანთია. ეს დიოდური ნათურებია. სასტუმროში ჩვეულებრივ ნათურას არ იყენებენ, რადგან ის სითბოს გამოყოფს და ყინულს ადნობს.

ადამიანებს რომ არ შესცივდეთ, საწოლსა და სკამებზე ირმის ტყავებია გადაფარებული. ღამით სტუმრებს ლოგინის ნაცვლად საძილე ტომრებში სძინავთ. მათ ძალიან თბილად უნდა ეცვათ. ასეთ ტანსაცმელს ადგილზე ურიგებენ.

მართალია, ყინულის სასტუმროში ძალიან ცივა, მაგრამ მას უამრავი ტურისტი აკითხავს. თუმცა ღამით ყველა ვერ რჩება. არ იფიქროთ, რომ სტუმრებს ყინვის ეშინიათ. ამ სასტუმროში ჯერ არავინ გაყინულა. ყველაზე საშიში ფასია: ერთი ღამის გათევა **თითქმის** 500 დოლარი ღირს.

შენი აზრით, რით იზიდავს ტურისტებს ყინულის სასტუმრო ყველაზე მეტად?

კომპონენტი: *მიზები, შედეგი,* **დონე:** *3.3*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 პირველ აბზაცში საუბარია იმაზე, თუ:

ა) რატომ აშენდა ყინულის სასტუმრო სწორედ შვედეთში.

ბ) რატომ ინახავენ ყინულის სასტუმროს ნარჩენებს მაცივარში.

გ) როდის აიგო შვედეთში ყინულის სასტუმრო პირველად.

2 ყინულის სასტუმროში იყენებენ მხოლოდ დიოდურ ნათურას, რადგან იგი:

ა) სითბოს არ გამოყოფს.

ბ) ძვირი არ ღირს.

გ) ადვილად არ ფუჭდება.

3 ზოგი ტურისტი ღამით სასტუმროში ვერ რჩება, რადგან:

ა) მათთვის საძილე ტომრები მოუხერხებელია.

ბ) ღამის გათევა იქ ძალიან ძვირი ღირს.

გ) ძლიერ ცივა და გაყინვის ეშინია.

4 ტექსტის მიხედვით, რა მოხდება, თუ ტემპერატურა სასტუმროში 0°C იქნება?

ა) სასტუმროში ყველაფერი დნობას დაიწყებს.

ბ) სტუმრებს საძილე ტომრები არ დასჭირდებათ.

გ) უფრო ადვილი იქნება სასტუმროში ცხოვრება.

5 ტექსტში <u>არ ჩანს</u>:

ა) რატომ არის საწოლებზე გადაფარებული ირმის ტყავი.

ბ) რატომ ღირს სასტუმროში ღამის გათევა 500 დოლარი.

გ) რატომ არის სასტუმროში სტუმრების მიღების სეზონზე -5^0C .

6 ამ ტექსტის მიზანია, გაგვაცნოს:

ა) რა არის ყინულის სასტუმროს სიძვირის მიზეზი.

ბ) როგორ მუშაობს სასტუმროში დიოდური ნათურები.

გ) ცხოვრების რა პირობებია ყინულის სასტუმროში.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე წინადადებებში ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. სასტუმროს ყოველ წელს **ხელახლა** აშენებენ.

   ა) ისევ. ბ) უცებ. გ) სწრაფად.

2. კედლების **ამოყვანას** შემოდგომით იწყებენ.

   ა) აშენებას. ბ) გამაგრებას. გ) გაყინვას.

3. ერთი ღამის გათევა **თითქმის** 500 დოლარი ღირს.

   ა) ალბათ. ბ) ზუსტად. გ) დაახლოებით.

4. კედელს ყინულის **ორნამენტი** ამშვენებს.

   ა) ნახატი. ბ) ქანდაკება. გ) ჩუქურთმა.

2 დაასრულე წინადადება ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: საწოლი, მაგიდა, სკამი არის ავეჯი.

ჭიქა, თეფში, თასი არის ----------.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე სწორი ფორმით ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. საწოლებზე გადაფარებულია (*ირემი*) ---------- ტყავები.
2. ყოველ შემოდგომაზე თავიდან იწყებენ (*საძირკველი*) ---------- ჩაყრას.
3. სასტუმროს (*კედელი*) ---------- მოხატულობაც ყინულისაა.
4. საძილე (*ტომარა*) ---------- გარეშე ადამიანი გაიყინება.
5. სტუმრებს (*თბილი*) ---------- ტანსაცმელს ურიგებენ.

2 რომელია არასწორი?

ა) დაახლოებით. ბ) მხოლოთ. გ) ღამით.

გრამატიკა

3 **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ყველაზე ლამაზი – ულამაზესი

1. ყველაზე დიდი – ----------. 2. ყველაზე ახალი – ----------.

3. ყველაზე თბილი – ----------. 4.ყველაზე ძველი – ----------.

წერა

1 **დააკვირდი ნიმუშს. შეავსე სქემა „ყინულის სასტუმროს“ მიხედვით.**

რა ხდება?	**რატომ? (მიზეზი)**
ნიმუში: *ყინულის სასტუმროს ყოველ შემოდგომაზე თავიდან აშენებენ,*	*რადგან გაზაფხულზე იგი დნება.*
ძალიან ცივა,	რადგან ...
სასტუმროში ჩვეულებრივ ნათურას არ იყენებენ,	რადგან ...
ღამით სტუმრებს საძილე ტომრებში სძინავთ,	რადგან ...
ბევრი ტურისტი ვერ ახერხებს სასტუმროში ღამით დარჩენას,	რადგან ...

2 **წარმოიდგინე, რომ ყინულის სასტუმრო საქართველოშიც აშენდა. დახატე ეს შენობა. აღწერე იგი. დაწერე 2-3 მიზეზი, რომელთა გამოც სწორედ ეს ადგილი შეირჩა ყინულის სასტუმროს ასაგებად. გამოიყენე სიტყვები: *რადგან; იმიტომ, რომ; ვინაიდან; იმის გამო, რომ...***

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____